ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ გიწვევთ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად თემაზე:

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები: პრობლემები და გამოწვევები

კონფერენციის ჩატარების თარიღი: 14-15 ივლისი, 2011 წელი.
კონფერენციის ჩატარების ადგილი: ბათუმი, შერატონ მეტეხი პალასი.

კონფერენციის თემატიკა:

- კვლევები ენების სწავლა/სწავლების საკითხებზე;
- მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგიური საკითხები;
- მეორე ენის სწავლების მეცნიერული საფუძვლები (თეორიები და მოდელები);
- ენობრივი კომპეტენციების კვლევისა და შეფასების საკითხები;
- სახელმწიფო ენა და ბილინგვური (მულტილინგვური) განათლება.

ინფორმაცია კონფერენციის შესახებ:

სამეცნიერო კონფერენცია ეძღვნება სახელმწიფო ენის სწავლების საკითხებს, არსებულ პრობლემებს, გამოცდილებასა და თანამედროვე გამოწვევებს.
ქართული ენა სახელმწიფო ენაა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; ქვეყნის კონსტიტუციით, საქართველოს ტერიტორიაზე, ყველა სასწავლო დაწესებულებაში, სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოდაა მიჩნეული. საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელთათვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური ენა, უფლება აქვთ, ზოგადი განათლება მიიღონ მშობლიურ ენაზე. აღნიშნულ სკოლებში სახელმწიფო ენა ისწავლება, როგორც საგანი, ამასთანავე, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საგნების სწავლება სავალდებულოა 2010-2011 წლის სასწავლო წლიდან მხოლოდ სახელმწიფო ენაზე.

მეორე ენის სწავლების თეორია მეცნიერების შედარებით ახალი დარგია. მისი აქტიურად შესწავლა დაიწყო მეოცე საუკუნის 40-იანი წლებიდან. ტრადიციულად, ენის სწავლება ფონოლოგიის, სინტაქსის, მორფოლოგიის, ლექსიკის და ა.შ. კონტექსტში განიხილებოდა, თუმცა ეს მიდგომა ეტაპობრივად შეიცვალა და მეორე ენის თანამედროვე კვლევები საკითხს ოთხ მნიშვნელოვან კონტექსტში განიხილავს: 1) ენის ლინგვისტური ხედვა,

რომელიც ენის ზოგად ბუნებრივ ასპექტებს შეისწავლის; (2) ენის ფსიქოლინგვისტური ხედვა, რომელიც ენის შესწავლის კოგნიტურ საკითხებზე აკეთებს აქცენტირებას; (3) სოციოლინგ–ვისტური ხედვა სწავლობს სახელმწიფო ენას სოციალურ და კულტურულ კონტექსტში; (4) მეორე ენის პედაგოგიური ხედვა, რომელიც სწავლობს მეორე ენის ათვისებისა და სწავლების სტრატეგიებს.

საქართველოში სახელმწიფო ენის სწავლებასთან დაკავშირებული არსებული სიტუაცია და მსოფლიოში მეორე ენის სწავლებასთან დაკავშირებული ცვლილებები აქტუალურს ხდის უმაღლესი განათლების როლს ამ სფეროში მეცნიერებისა და კვლევების, აგრეთვე ზოგადი განათლების სისტემის საკადრო რესურსით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ ახალი გამოწვევების გააზრება და მათზე რეაგირება... საჭირო გახდა, ერთი მხრივ, დასავლური გამოცდილების, ენების დიდაქტიკაში ჩვენი უცხოელი კოლეგების მიღწევების გაცნობა, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში კვლევების ჩატარება, ახალი მიდგომების პილოტირება... სწორედ ამ ფაქტორებმა განსაზღვრა კონფერენციის ჩატარების საჭიროება და აუცილებლობა: აღნიშნული კვლევების, კონცეფციების, მიდგომების განხილვა და შეჯამება სახელმწიფო ენის სწავლების პროცესისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

კონფერენცია ტარდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ ორგანიზებით.

მოხსენებების წარმოდგენა შეუძლიათ ნებისმიერი უმაღლესი დაწესებულებისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს. დაიბეჭდება მოხსენებათა თეზისები და სტატიები (ქართულ და ინგლისურ ენებზე). იმუშავებს სარედაქციო საბჭო, რომელიც შეარჩევს წარმოდგენილ ნაშრომებს. თანხმობა ან უარი კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ ავტორებს ეცნობებათ მოხსენების თეზისების წარმოდგენიდან 15 დღის განმავლობაში.

კონფერენციაში მონაწილეობისათვის დაწესებულია სარეგისტრაციო გადასახადი: 20 ლარი.
კონფერენციის სამუშაო ენებია ქართული და ინგლისური.

ნაშრომების წარმოდგენის ვადები:

თეზისების წარმოდგენის ბოლო ვადაა 30 მაისი, 2011 წელი.
პასუხი კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ ავტორებს ეცნობებათ არაუგვიანეს 15 ივნისისა, 2011 წელი.
ვრცელი სტატიების (ქართული და ინგლისური ვერსიების) წარდგენის ვადაა 30 ივნისი, 2011 წელი.

ნაშრომების წარმოდგენის პირობები:

- საკონფერენციო თეზისები და სტატიები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართველი ავტორების მიერ როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.
- საკონფერენციო თეზისები და სტატიები უცხოელი ავტორების მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე;
- საკონფერენციო თეზისები არ უნდა აღემატებოდეს 300 სიტყვას; ფონტი - Sylfaen, Times New Roman; შრიფტის ზომა – 12. განსხვავებული ფონტების შემთხვევაში, სასურველია, ფონტის გამოგზავნა.

- საკონფერენციო სტატიები არ უნდა აღემატებოდეს 5000 სიტყვას; ფონტი - Sylfaen, Times New Roman; შრიფტის ზომა – 12. განსხვავებული ფონტების შემთხვევაში, სასურველია, ფონტის გამოგზავნა.
- მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია ავტორის შესახებ: ავტორის სახელი, გვარი; დაწესებულება; თანამდებობა; საკონტაქტო ინფორმაცია.
- სტატიები დაწერილი უნდა იყოს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) სტილით;
- საკონფერენციო თეზისები და სტატიები გამოგზავნეთ მისამართზე: language.conference@tsu.ge
- საკონფერენციო თეზისები და სრული სტატიები დაიბეჭდება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- ქართველის ავტორების თეზისებისა და სტატიების ინგლისურ ენაზე თარგმანს უზრუნველყოფენ ავტორები.
- უცხოელი ავტორების თეზისებისა და სტატიების ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმანს უზრუნველყოფენ კონფერენციის ორგანიზატორები;
- კონფერენციაში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი თეზისების საფუძველზე სარედაქციო საბჭო შეარჩევს მომხსენებლებს. ინფორმაცია ამის შესახებ ავტორებს ეცნობებათ არაუგვიანეს 15 ივნისისა.
- დაგვიანებით და არასრულყოფილად წარმოდგენილი თეზისები და სტატიები არ მიიღება.

რეგლამენტი

- მოხსენება - პრეზენტაცია - 20 წუთი
- მსჯელობა - 10 წუთი

საკონტაქტო პირი: გიული შაბაშვილი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი. ტელ.: 899 72 88 73; 47 53 89.
ელ. ფოსტა: giulishabashvili@tsu.ge

საორგანიზაციო კომიტეტი: თავმჯდომარე: გიული შაბაშვილი, ასოცირებული პროფესორი; წევრები: მაია მადუაშვილი, ქეთევან მირზიკაშვილი, თეა ქამუშაძე, სოფიო პაპიაშვილი, ლაშა მურადაშვილი, ირინა ბაგაური, ირინა შუბითიძე, თეა კალანდია.

სარედაქციო საბჭო: თავმჯდომარე: დარეჯან თვალთვაძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი; წევრები: შალვა ტაბატაძე, სამოქალაქო ინტეგრაციისა ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ხელმძღვანელი; იოსტ გიპერტი (გოეთეს სახელობის მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტი), გერმანია; ბრიგიტა შილინა (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო ექსპერტი მეორე ენის სწავლისა და ათვისების სფეროში), ლატვია; რუბენ ენუქაშვილი (არიელის უნივერსიტეტის სამარიის ცენტრი), ისრაელი; ლიგიტა გრიგულე, საერთაშორისო კონსულტანტი მულტილინგვური განათლების საკითხებში, ლატვიის უნივერსიტეტი; მარიკა ოძელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; მზია წერეთელი, თსუ პროფესორი; კახა გაბუნია, თსუ პროფესორი; ლალი ეზუგბაია, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი; ქეთევან ჭკუასელი, თსუ პროფესორი; ნინო შარაშენიძე, თსუ პროფესორი.